




2025 წლის III კვარტლის  
მაკროეკონომიკური გარემოს  
**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2025**  
ნოემბერი

# 2025 წლის III კვარტლის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები\*


რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი



**6.5%**


III კვარტალი

2025 წლის III კვარტალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.6%-ით განისაზღვრა.




III კვარტალში საქონლის ექსპორტი 1.2%-ით, ხოლო იმპორტი 0.8%-ით შემცირდა.

ექსპორტი 1,916 მლნ დოლარი  
იმპორტი 4,432.7 მლნ დოლარი




III კვარტალში ფულადმა გზავნილებმა 976.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ევროკავშირის ქვეყნები - 44.9%;  
აშშ - 18.4%;  
რუსეთი - 12.9%;



III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა.




ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 1.3%-ით გამყარდა, ხოლო 2024 წლის III კვარტალთან მიმართებით 0.2%-ით გამყარდა.



# 1. რეალური სექტორი

მშპ-ის დინამიკა (%)




სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის III კვარტალში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 6.5% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2025 წლის აგვისტოში მომზადებული III კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება 6.1%<sup>1</sup>-ით განისაზღვრა, რაც საქართველოს ეკონომიკაზე ქვეყანაში არსებულ როგორც ინფლაციის დაბალ მაჩვენებლებს, ასევე რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენას ითვალისწინებდა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2025 წლის III კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ წინასწარ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაბი იყო უარყოფითი და -1.0%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაბი დადებითი (1.3%) იყო.


მშპ-ის კომპონენტები (%-ლი წვლილი)



საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2025 წლის III\* კვარტალში მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მოხმარების და ექსპორტის ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2025 წლის II\* კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპში დადებითი წვლილი მოხმარების (4.91 პპ), და ექსპორტის (4.39 პპ) კომპონენტებმა შეიტანა. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე იმპორტს (-1.78 პპ) და ინვესტიციებს (-0.18 პპ) ჰქონია.

მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურა (II კვარტალი)




2025 წლის II\* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.

2025 წლის II\* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი<sup>2</sup> საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (14.7%). ასევე, მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (9.1%), დამამუშავებელი მრეწველობა (8.9%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (7.5%), მშენებლობა (7.3%), სოფლის მეურნეობა (7.0%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (6.8%) და განათლება (6.7%).

[1] [www.pbo.parliament.ge](http://www.pbo.parliament.ge)

[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით


### რეალური მშპ-ის ტრენდი



თვეურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის<sup>3</sup> ზრდის ტემპმა 3.1% შეადგინა. 2024 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 5.0% იყო.

### სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) (%)



[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2025 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას აკვლენს.


2025 წლის III კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 4.6% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. ინფლაციის ზრდის ტემპზე გავლენა იქონია, ძირითადად, სურსათსა და უაღკოპოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე, ტრანსპორტზე და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2025 წლის III კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 2.6% შეადგინა.

## 2. ფისკალური სექტორი

### ნაერთი ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

- შემოსავლები
- ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა
- მთლიანი სალდო (მარჯვენა ღერძი)
- საოპერაციო სალდო (მარჯვენა ღერძი)




2025 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2025 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12.4%-ით გაიზარდა და 7,004.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა 1.8%-ით განისაზღვრა და 7,172.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 273.1 მლნ ლარით გაიზარდა და 1,181.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 54.4 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო 657.9 მლნ ლარს შეადგენდა.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები  
(მლნ ლარი)

- არაპირდაპირი გადასახადები
- პირდაპირი გადასახადები
- სხვა შემოსავლები
- გრანტები




2025 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 13.5%-ით გაიზარდა და 6,416.5 მლნ ლარით განისაზღვრა.

2025 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 21.4%-ით გაიზარდა და 2,948.5 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 7.6%-ით მოიმატა და 3,467.9 მლნ ლარს გაუტოლდა. აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი 0.6%-ით შემცირდა და 32.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლები 1.2%-ით გაიზარდა, რამაც 555.6 მლნ ლარი შეადგინა.

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა  
(მლნ ლარი)

- შრომის ანაზღაურება
- საქონელი და მომსახურება
- სოციალური უზრუნველყოფა
- დანარჩენი ხარჯები
- არაფინანსური აქტივების ზრდა (მარჯვენა ღერძი)




2025 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე ხარჯები გაიზარდა, ხოლო არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები შემცირდა.

2025 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 5,822.5 მლნ ლარს შეადგენდა, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.4%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 1,349.5 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე 21.5%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში 4.4%-ით გაიზარდა ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 709.0 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 864.9 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 16.1%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 2,226.7 მლნ ლარი (მოიმატა 8.0%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა ხარჯები) 10.1%-ით გაიზარდა და 2,021.9 მლნ ლარით განისაზღვრა.

### სახელმწიფო ვალი (მლნ ლარი)


- სახელმწიფო საშინაო ვალი (ნაშთი)
- სახელმწიფო საგარეო ვალი (ნაშთი)



2025 წლის III კვარტლის ბოლოს (30 სექტემბრის მდგომარეობით) სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოხატულებაში 36,224 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.0%-ით მეტია.


2025 წლის III კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 69.3%-ს შეადგენს (2024 წლის III კვარტლის ბოლოს - 72.1%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 30.7%-ს (2024 წლის III კვარტლის ბოლოს - 27.9%).

### სახელმწიფო ვალი %-ად მშპ-თან



### 3. საგარეო სექტორი


#### მიმდინარე ანგარიშის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)




2025 წლის II\* კვარტალში საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2025 წლის II\* კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 272.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -3.0%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსის და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მიმდინარე ტრანსფერებისა და მომსახურების დადებითი სალდო ფარავს, საიდანაც აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დადებითი გავლენა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2025 წლის II\* კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 5.0%-ით გაიზარდა და 1,145.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

### მიმდინარე ანგარიშის კომპონენტები (მლნ აშშ დოლარი)



### მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი, თვე)




### 2025 წლის II\* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

აღნიშნულ პერიოდში, წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 506.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 5.5%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11.4%-ით ნაკლებია.


### 2025 წლის III კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,427.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2025 წლის III კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 5,427.6 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.2%-ით მეტი. 2025 წლის III კვარტალში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.


### მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი დაფინანსების წყაროები (მლნ აშშ დოლარი)



### საქონლით საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)




### საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



#### 2025 წლის III კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის კლებას ტენდენცია გამოიკვეთა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2025 წლის III კვარტალში საქონლის ექსპორტი 1.2%-ით შემცირდა და 1,916.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 0.8%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც 4,432.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.2%-ით განისაზღვრა. 2025 წლის I-III კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (38.9% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), ძვირფასი ლითონები (5.4%), სპირტიანი სასმელები (3.9%), ნატურალური ღვინო (3.7%), ფეროშენადნობები (3.0%), მინერალური და მტკნარი წყლები (2.5%) და სხვა.


#### უმსხვილესი საექსპორტო საქონელი (I-III კვარტალი)



#### 2025 წლის III კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა.

2025 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 2,956,014 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.6%-ით მეტია. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც III კვარტალში 2,516,421 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 6.8%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (664,645; ზრდა წინა წლის III კვარტალთან 13.9%), თურქეთიდან (430,019; კლება 1.4%), სომხეთიდან (329,326; კლება 4.4%). 2025 წლის III კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,666.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.6%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.


ფულადი გზავნილები  
(მლნ აშშ დოლარი)  
(I-III კვარტალი)



**2025 წლის III კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები გაიზარდა.**


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2025 წლის III კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები 12.0%-ით გაიზარდა და 976.3 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და აშშ (18.4%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ესპანეთიდან (32.4%), ნიდერლანდებიდან (26.6%), ყირგიზეთიდან (24.6%), საფრანგეთიდან (23.4%), აშშ-დან (19.8%), გერმანიიდან (16.9%), გაერთიანებული სამეფოდან (14.0%), კანადიდან (12.6%), და სხვა. ფულადი გზავნილები შემცირდა ყაზახეთიდან (8.7%), აზერბაიჯანიდან (8.4%) და სხვა.

ფულადი გზავნილები (%)  
(III კვარტალი)



## 4. მონეტარული სექტორი


მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი



**2025 წლის III კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 8.0% შეადგინა.**

საქართველოში 2021 წლის პირველ კვარტალში არსებული დაბალი ინფლაციის პასუხად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყო. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 31 იანვრის გადანყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით შემცირა და 9.0% შეადგინა, 13 მარტის გადანყვეტილებით კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.75 პპ-ით შემცირდა და 8.25% დაფიქსირდა. 22 მაისის გადანყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კვლავ 0.25 პპ-ით შემცირდა და 8.00%-ზე დაფიქსირდა, რაც არ შეცვლილა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 19 ივნისის, 30 ივლისის, 11 სექტემბრის, 23 ოქტომბრის, 18 დეკემბრის და 2025 წლის 29 იანვრის, 12 მარტის, 7 მაისის, 18 ივნისის, 30 ივლისის და 10 სექტემბრის გადანყვეტილებით.


**საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე (%)**



**2025 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.7%-ს შეადგენდა.**

2025 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.03 პპ-ით გაიზარდა და 13.7%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15.8% შეადგინა (0.20 პპ-ით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 9.5% (0.33პპ-ით მეტი).


**ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)**



2025 წლის III კვარტალში, ლარი წინა კვარტალთან შედარებით, ევროსთან გაუფასურდა, ხოლო დანარჩენ ძირითად ვალუტებთან მიმართებით გამყარდა.

2025 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ 1.3%-ით გამყარდა, ხოლო 2024 წლის III კვარტალთან მიმართებით 0.2%-ით გამყარდა. 2024 წლის III კვარტალთან შედარებით, ლარი გაუფასურდა ევროსთან (5.8%-ით), რუსულ რუბლთან (9.4%-ით) და სომხურ დრამთან (0.9%-ით), ხოლო გამყარდა თურქულ ლირასთან (21.9%), უკრაინულ გრივნასთან (1.1%-ით) და აზერბაიჯანულ მანათთან (0.2%-ით).

**კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება (ნაშთები, მლნ ლარი)**




**2025 წლის III კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.**


2025 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 13.2%-ით მოიმატა და 65,119 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.0%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 21.9% გაცემულია მშენებლობის დარგში, 21.1% - ვაჭრობის, 16.8% - მრეწველობის, 14.4% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 6.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით  
(ნაშთები)



დოლარიზაცია  
(%)



2025 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა დეპოზიტებზე, ხოლო სესხებზე შემცირდა.

2025 წლის III კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 47.4% შეადგინა, ანუ წინა კვარტალთან შედარებით 0.05 პპ-ით მეტი, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.71 პპ-ით მეტი. სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი 42.1%-ით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან მიმართებით 0.84 პპ-ით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.63 პპ-ით ნაკლებია.


რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, 2024 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 46.2% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი კი 44.7%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 46.7%-ს, სესხებზე კი 45.1%-ს გაუტოლდა. III კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 46.6% შეადგინა, სესხებზე კი დოლარიზაციის მონაცემი 43.8%-ით განისაზღვრა. IV კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 49.2%, ხოლო სესხებზე 43.3% შეადგინა.

## 5. სოციალური სფერო


2025 წლის III კვარტალში, წინა წლის III კვარტალთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე გაიზარდა, ხოლო ჯანდაცვაზე შემცირდა.

2025 წლის III კვარტალში განათლებაზე განუღობა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 782.8მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 5.0%-ით მეტია. ჯანდაცვაზე განუღობი დანახარჯები 500.4მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.3%-ით ნაკლები.

სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



სამუშაო ძალის მაჩვენებლები (ათასი კაცი)



025 წლის II\* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა.

2025 წლის II\* კვარტალში სამუშაო ძალამ 1,593.9 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 0.9%-ით ნაკლებია. მათ შორის, დასაქმებულთა რაოდენობა 1,366.3 ათასი კაცით განისაზღვრა (1.6%-ით ნაკლები წინა წლის მაჩვენებელზე). დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 68.8%-ია, თვითდასაქმებულთა წილი კი - 30.9%. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 227.6 ათასი კაცს შეადგენდა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.6%-ით მეტს.


აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2025 წლის II\* კვარტალში 2,212.0 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.3%-ით აღემატება.

საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონემ 14.3% შეადგინა (0.6 პპ-ით მეტი, წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით).


2025 წლის II\* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება გაიზარდა.

2025 წლის II\* კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 795.6 ათასი კაცი შეადგინა (მათ შორის, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 745.3 ათასი კაცი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.3%-ით მეტია. რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 2,317.6 ლარით განისაზღვრა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.1%-ით (212.1 ლარით) მეტი.

ბიზნეს სექტორში დასაქმება (ათასი კაცი) და ხელფასები (ლარი)



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში  
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)  
შეგიძლიათ იხილოთ

